

მოწოდება და ლოცვა კავკასიაში მშვიდობისთვის

პაპი ფრანცისკე

*ანჯელუსი*

*წმინდა პეტრეს მოედანი  
კვირა, 19 ივლისი, 2020 წ.*

*„ძვირფასო ძმანო და დანო,*

ახლა, როცა პანდემიას ბოლო ჯერ კიდევ არ უჩანს, მსურს გამოვხატო ჩემი სიახლოვე მათ მიმართ, ვინც ამ სენით და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით იტანჯება. განსაკუთრებით ვფიქრობ იმ ხალხებზე, რომელთა მდგომარეობაც კონფლიქტური ვითარებითაა დამძიმებული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უსაფრთხოების საბჭოს ამასწინანდელი გადაწყვეტილების კვალდაკვალ, დაპირისპირებულ მხარეებს კვლავაც მოვუწოდებ დაუყოვნებლივ და სრულად შეწყვიტონ ცეცხლი. ეს ხელს შეუწყობს მშვიდობას დამყარებას და უსაფრთხო გარემოს შექმნას, რაც აუცილებელი პირობაა საჭირო ჰუმანიტარული დახმარების აღმოსაჩენად.

კერძოდ, შეშფოთებით ვადევნებ თვალყურს ბოლო დღეებში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის განახლებულ და მზარდ შეიარაღებულ შეტაკებებს. ვლოცულობ კონფლიქტის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისთვის და იმედს გამოვთქვამ, რომ საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევით და მხარეთა შორის დიალოგისა და მათი კეთილი ნების მეშვეობით, შესაძლებელი გახდება ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება, ორივე ძვირფასი ერის სასიკეთოდ.“